ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №63

ქ. რუსთავი 10 ივლისი 2018 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“ (შემდგომში (შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ეკატერინა ხუციშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,თეკლა 2013“ (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნათია ლიპარტელიანის სახით, საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.შესყიდვის ობიექტი

1.1 ხელის ხელსაწყოების შეძენა დანართი №1-ის შესაბამისად.

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 39,0 (ოცდაცხრამეტი) ლარს CPV445 000

3.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში;
3.2. ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის დამადასტურებელი ნაერთი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე;
3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;
3.4. დაფინანსების წყარო: 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

4.მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;
4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს №23 ფილიალის გამგე და მატერიალურ პასუხისმგებელი პირი.

5.საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

5.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 ივლისის ჩათვლით ;
5.2. საქონლის მიწოდების ადგილი: გაერთიანების №23ფილიალი ცხრა ძმა ხერხეულიძის №27

6.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს (ინსპექტირება) განახორციელებს ინფრასტრუქტურის მონიტორინგის განყოფილების უფროსი.
6.2. ინსპექტირების გამწევის ფუნქციებია:
6.3. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება
6.4. მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება,
6.5. ინსპექტირების გამწევი პირი გამოვლენილ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს აფიქსირებს ოქმით, დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

7.მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ანაზღაურება;
7.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
7.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

8.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ს ოდენობით, ასეთი უფლებით მხარემ შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას;
8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე შესაბამისი მიზეზების მითითებით;
9.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილო წესით;
9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;
9.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
9.6. მხარე ვალდებულია 10.5. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით, ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით აცნობოს მეორე მხარეს;
9.7. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10.დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტათ მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ერთი შემსყიდველთან);

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2018 წლის 10 ივლისიდან და მოქმედებს 2018 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“	შპს ,,თეკლა 2013“
მის: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. №20	მის: ქ. რუსთავი, თოდრიას №11
ს/კ 216439325	ს/კ: 416303850
სახელმწიფო ხაზინა	სს ,,ვი თი ბი ბანკი“
ბანკის კოდი:TRESGE22	ბანკის კოდიUGEBGE22
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა GE30VT0700000205553602
.....	.....
გაერთიანების დირექტორი ეკატერინე ხუციშვილი	დირექტორი ნათია ლიპარტელიანი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ მას და ა(ა)იპ ,,ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების" მიერ, ხელის ხელსაწყოების შეძენის მიზნით,2018 წლის 10 ივლისს გაფორმებული №63 ხელშეკრულებით განსაზღვრულ მიმწოდებელს შპს „ თეკლა 2013" შორის, არ არსებობს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი.

გაერთიანების უფროსი ეკატერინა ხუციშვილი

ინფრასტრუქტურის მონიტორინგის განყოფილების უფროსი კახაბერ ქოჩიაშვილი